OPERA CROWN
თბილისის
საერთაშორისო
კონკურსი

30 აპრილი-5 მაისი, 2018

თბილისის
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
საქართველო

# კონკურსის პირობები

## ასაკობრივი ზღვარი:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

- ქალებს 21-დან 30 წლის ჩათვლით
- მამაკაცებს 22-დან 32 წლის ჩათვლით

ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით გამონაკლისი არ დაიშვება.

## კონკურსის ეტაპები:

კონკურსი შედგება შესარჩევი მოსმენისგან და სამი ტურისგან.

## განაცხადის წარდგენის წესი

შესარჩევი მოსმენა (15 იანვარი-1 აპრილი, 2018):
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა შევსებული განაცხადის ფორმა და მაღალი ხარისხის ვიდეო ჩანაწერი (DVD), გადაღებული ბოლო 6 თვის განმავლობაში, უნდა წარუდგინონ კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს არაუგვიანეს **2018 წლის 1 აპრილისა**, შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ. #25, 0108, თბილისი, საქართველო, თბილისის ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად:

- პასპორტის ასლი;
- მუსიკალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 2 ბოლოდროინდელი ფოტოსურათი;
- შემოქმედებითი ბიოგრაფია;
- მიღებული ჯილდოების მოწმობების ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განაცხადის ფორმა უნდა შეივსოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

შესარჩევი მოსმენა მაღალი ხარისხის ვიდეო ჩანაწერების საფუძველზე ჩატარდება. ჩანაწერი უნდა შედგებოდეს 2 საოპერო არიისგან (მაქსიმუმ 15 წუთი).

## ტურები

კონკურსში მონაწილეობის გადასახადი შეადგენს 50 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, რომელიც კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ადგილზე რეგისტრაციის დროს.

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი უარს იტყვის კონკურსში მონაწილეობაზე, მის ნებისმიერ ეტაპზე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მონაწილეობის გადასახადი არ დაუბრუნდება.

**I ტური:** კონკურსანტი შეასრულებს 2 საოპერო არიას ფორტეპიანოს თანხლებით.
**II ტური:** კონკურსანტი შეასრულებს 2 საოპერო არიას ფორტეპიანოს თანხლებით.
**III ტური:** კონკურსანტი შეასრულებს 2 საოპერო არიას ორკესტრის თანხლებით.

ყველა ნაწარმოები უნდა შესრულდეს ორიგინალის ენაზე და ტონალობაში.

## კონცერტმაისტერი

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი უსასყიდლოდ უზრუნველყოფს კონკურსანტს კონცერტმაისტერით კონკურსის განმავლობაში; კონკურსანტს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, მოიწვიოს კონცერტმაისტერი.

## სასტუმროში განთავსება

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი უზრუნველყოფს კონკურსის I ტურში გადასული მონაწილეების სასტუმროში განთავსებას; კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი დაფარავს კონკურსანტის სასტუმროს ხარჯს (ნომერი საუზმით) სანამ ის არ გამოეთიშება კონკურსს. ამ შეთავაზებით ისარგებლებენ კონკურსანტები, რომლებიც იცხოვრებენ კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაჯავშნილ სასტუმროში (ერთი ადგილი ორადგილიან ნომერში).

## საკონტაქტო ინფორმაცია

**რუსიკო მაცაბერიძე**
მობ.: +995 599657765
rusikomatsaberidze@yahoo.com

**მაია სამნიაშვილი**
მობ.: +995 577140407
mayasamniashvili@gmail.com

ტელ.: +995 322004464

OPERA CROWN
თბილისის საერთაშორისო კონკურსი

## ვადები

15 იანვარი – 1 აპრილი, 2018

**შესარჩევი მოსმენა**

კონკურსანტების შერჩევა ვიდეო ჩანაწერების საფუძველზე

30 აპრილი, 2018 / 13:00

**კონკურსის საზეიმო გახსნა**

**კენჭისყრა**

*თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი*

1, 2 მაისი, 2018 / 14:00

**I ტური**

*თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი*

3 მაისი, 2018 / 14:00

**II ტური**

*თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი*

5 მაისი, 2018 / 18:00

**III ტური**

**ლაურეატების საზეიმო დაჯილდოება**

*თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი*

## საპრიზო ფონდი

The Opera Crown Grand Prix: 15 000 აშშ დოლარი

I პრემია (მამაკაცი/ქალი): 10 000 აშშ დოლარი

II პრემია (მამაკაცი/ქალი): 7 000 აშშ დოლარი

III პრემია (მამაკაცი/ქალი): 5 000 აშშ დოლარი

Opera Crown
თბილისის საერთაშორისო კონკურსი

## პროგრამა

არიები შემდეგი კომპოზიტორების ოპერებიდან:

ვინჩენცო ბელინი
ჟორჟ ბიზე
ალექსანდრე ბოროდინი
მიხეილ გლინკა
შარლ გუნო
ლეო დელიბი
ანტონინ დვორჟაკი
გაეტანო დონიცეტი
ვიქტორ დოლიძე
რიხარდ ვაგნერი
ჯუზეპე ვერდი
ოთარ თაქთაქიშვილი
ალფრედო კატალანი
რუჯერო ლეონკავალო
პიეტრო მასკანი
ჟიულ მასნე
ჯაკომო მეიერბერი
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
მოდესტ მუსორგსკი
ჟაკ ოფენბახი
სერგეი პროკოფიევი
ჯაკომო პუჩინი
სერგეი რახმანინოვი
ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვი
ჯოაკინო როსინი
კამილ სენ-სანსი
ზაქარია ფალიაშვილი
დიმიტრი შოსტაკოვიჩი
რიხარდ შტრაუსი
პეტრე ჩაიკოვსკი
ფრანჩესკო ჩილეა

OPERA CROWN
თბილისის საერთაშორისო კონკურსი

## ჟიური

ბადრი მაისურაძე
*სამხატვრო ხელმძღვანელი*
*თბილისის ოპერისა და ბალეტის*
*სახელმწიფო თეატრი*
***ჟიურის თავმჯდომარე***

გრეის ბამბრი
*სოპრანო*

პიტერ მარიო კატონა
*კასტინგ დირექტორი*
*Covent Garden*

კრისტინა შეპელმანი
*სამხატვრო ხელმძღვანელი*
*Gran Teatre del Liceu*

ჯონათან ფრენდი
*სამხატვრო ადმინისტრატორი*
*Metropolitan Opera*

სებასტიან შვარცი
*გენერალური დირექტორი*
*Glyndebourne Festival Opera*

ალან გრინი
*Zemsky/Green Artists Management*

ალესანდრო არიოზი
*Ariosi Management*

ფაბიანა დალპიაზი
*Askonas Holt*

ინფორმაცია ჟიურის სხვა წევრების შესახებ გამოქვეყნდება მოგვიანებით.

OPERA CROWN
თბილისის საერთაშორისო კონკურსი

# განაცხადის ფორმა

სახელი და გვარი:

ხმის ტიპი: | ასაკი: | დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი):

მოქალაქეობა: | პასპორტის №

ელ. ფოსტის მისამართი:

ტელეფონი (მობილური):

მისამართი:

## კონკურსის პროგრამა

| I ტური | II ტური | III ტური |
|---|---|---|
| | | |
| | | |

ა. განათლება, მიუთითეთ წლები: | ბ. ჯილდოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

☐ ვეთანხმები კონკურსის პირობებს

ხელმოწერა: ........................................ თარიღი: ........................................

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ და სრულად შეავსოთ განაცხადის ფორმა.

განაცხადი უნდა წარმოადგინოთ არაუგვიანეს 2018 წლის 1 აპრილისა, მისამართზე:
რუსთაველის გამზ. #25, 0108, თბილისი, საქართველო

OPERA CROWN
თბილისის
საერთაშორისო
კონკურსი

## კონტაქტი

THE OPERA CROWN, თბილისის საერთაშორისო კონკურსი


თბილისის ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
რუსთაველის გამზ. #25, 0108, თბილისი, საქართველო
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

ტელ: +995 322004464

ელ. ფოსტა: rusikomatsaberidze@yahoo.com
mayasamniashvili@gmail.com

WWW.OPERA.GE